

# ექვთიმე მთაწმინდელის წეს-განგებანი

ჯონი ბოჭორიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია*

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე  
შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების  
ისტორია, რელიგია)*

*მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

მედიევისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამაზ კოჭლამაზაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის  
დეკანს ბატონ გირგი გვალას  
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების (ენა, ლიტერატურა, ისტორია,  
ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)  
მაგისტრანტის ჯონი ბოჭორიშვილის

## გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორიების მიერ აქმდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლამ მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მითითებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად!

ჯონი ბოჭორიშვილი

2018 წელი

## აბსტრაქტი

ნებისმიერ საზოგადოებას გააჩნია თავისი წესები, რაც გამოიხატება როგორც კანონმდებლობაში, ასევე ტრადიციებში. აღნიშნული წესები არეგულირებს და განსაზღვრავდა ამა თუ იმ საზოგადოების ქცევებსა და ურთიერთობებს, როგორც საკუთრივ ამ საზოგადოების წევრებს შორის ასევე სხვა სოციუმებთან. ამ დამოკიდებულებების (კანონების) და შეხედულებების გადაფასებასა და ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების მენტალური განვითარება. ქართულ რეალობაში ამგვარი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს საზღვარგარეთული სამწიგნობრო კერები წარმოადგენდნენ. ამ სამწიგნობრო კერებში ხდებოდა რელიგიური, ფილოსოფიური სამართლებრივი აზრის ფორმირება. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ათონის მთაზე ივერთა მონასტერში მოღვაწე ეროვნებით ქართველმა ბერმა ექვთიმე მთაწმინდელმა. მან ერთის მხრივ შექმნა უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობა და მეორეს მხრივ არის ავტორი ორიგინალური ნაშრომის საეკლესიო წეს-განგებისა.

ჩვენი კვლევის მიზანია ექვთიმე მთაწმინდელის არა მხოლოდ როგორც მთარგმნელის, არამედ როგორც ორიგინალი კანონშემოქმედის წარმოჩენა.

კვლევის თვისობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, კერძოდ წყაროებისა და ისტორიული ნარკვევების ანალიზისა და შედარების მეთოდის საფუძველზე ნაშრომში გამოტანილია ლოგიკური დასკვნები.

კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

- ✓ ექვთიმე მთაწმინდელი თავის კანონებში ეყრდნობა, როგორც ავტორიტეტულ სასულიერო პირების სწავლებებს ასევე ავტორიტეტულ წმინდა მამებს (რაც ბუნებრივია) და ასევე ზოგიერთ შემთხვევაში მისი მიდგომები ასკეტური ცხოვრების მიმართ ლიბერალურია;
- ✓ ექვთიმე მთაწმინდელი საეკლესიო წესების დადგენისას ავლენს ინდივიდუალურობას;

- ✓ ექვთიმეს საეკლესიო ცხოვრების წესებში გამოიყოფა სამი მიმართულება: ქცევა, ლოცვა და მორჩილება.

სამომავლოდ შესაძლებელია საკითხი უფრო სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი. გაკეთდეს ექვთიმე მთაწმინდელის შემოქმედების უფრო დეტალური აღწერილობები, ექვთიმესეული წეს-განგებანი შედარდეს როგორც ათონის მთაზე მოქმედ სხვა სამონასტრო კომპლექსებში არსებულ წესებს ასევე ქართულ საეკლესიო ტრადიციებთან.

ნაშრომი, დაეხმარება სამართალმცოდნეებს, ისტორიკოსებსა და სხვა მომიჯნავე დისციპლინის წარმომადგენლებს მომავალში საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ სამეცნიერო კვლევაზე დაყდნობით, განახორციელონ სხვადასხვა პროექტი.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ექვთიმე მთაწმინდელი; წეს-განგებანი; ივერთა მონასტერი; საეკლესიო სამართალი.

## Abstract

Any society has its rules, which may be expressed in legislation as well as in traditions. The mentioned rules regulate and determined behaviors and relationships in separate societies, either namely between the members of this society, or between different societies. Mental development of society has a significant influence on the revaluation and change of these attitudes (canons) and views. In Georgian reality, one of the significant sources for such development has always been foreign literary hubs. Formation of religious, philosophical and legal views took place in such literary hubs. In this regard, Georgian Monk Ekvtime Mtatsmindeli living and acting in Iviron Monastery at Mount Athos had played an important role. On the one hand, he created the huge literary heritage and on the other hand, he is the author of the original workson ecclesiastical canons.

The goal of our research is to represent Ekvtime Mtatsmindeli not only as the translator, but also as the author of original legislation.

Using the qualitative methodology of research, namely on the basis of analyses and comparison of sources and historical essays, the work presents the logical conclusions.

On the research basis, we may conclude:

- ✓ In his canons Ekvtime Mtatsmindeli relies on the studies of authoritative clerics, as well as on the authoritative holy fathers (which is natural) and in some cases he has liberal approaches to asceticism;
- ✓ Ekvtime Mtatsmindelireveals individuality while creating the ecclesiastic canons;
- ✓ Three directions can be distinguished in Ekvtime'secclesiastic canons: behavior; prayer and obedience.

In the future, the topic may be studied in more depth. The works of Ekvtime Mtatsmindeli may be described in more details, his canons can be compared to the canons acting in another monasteries at the Mount Athos, as well as to Georgian ecclesiastic traditions. The work will be

helpful for law specialists, historians and the representatives of other neighboring disciplines to carry out various projects based on the following scientific research in case of necessity.

**Key words:** Ekvtime Mtatsmindeli; ecclesiastical canons; Iviron Monastery; ecclesiastical law.